ბავშვთა ქირურგიის დეპატრამენტი

ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი



ემერიტუსი მერაბ ბუაძე

ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ თალაკვაძე

ასისტენტ-პროფესორი ნიკოლოზ ბუაძე

ბავშვთა ქირურგიის დეპატრამენტი

1930 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის კათედრა. გამგედ არჩეული იქნა პროფესორი მიხეილ კოკოჩაშვილი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ბავშვთა ქირურგიის
შემდგომი განვითარების საქმეში. მისი ავტორობით შეიქმნა ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე 1952 წელს.
1963 წ -1989 წ. კათედრას სათავეში ედგა პროფესორი ლევან ავალიანი.
საქართველოს მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.
მის მიერ გამოქვეყნებული იყო 160 ნაშრომი, 12 მონოგრაფია. იგი იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ბავშვთა ქირურგი. ბავშვთა ქირურგიული რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა ბავშვთა ქირურგიული განყოფილებები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.
1989 წლიდან ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგედ არჩეული იქნა პროფესორი გივი ჟვანია, მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1986 წელს ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება დაიწყო რესპუბლიკის ერთ-ერთმა მძლავრმა სამედიცინო ცენტრმა, ბავშვთა მე-2 საავადმყოფო, ამჟამად თსსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის
აკადემიული კლინიკა. სადაც პირველად გაიხსნა ახალშობილთა ქირურგიის, გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიის, ჩირქოვანი ქირურგიის, რეანიმაცია- ინტენსიური თერაპიის, ქირურგიული ენდოსკოპიის, ყბა-სახის ქირურგიის, ოტოლარინგოლოგიის, თვალის, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილებები. 1994 წლიდან კათედრის გამგედ არჩეული იქნა საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი რამაზ კუტუბიძე. რომელიც იმავე წელს დაინიშნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ ბავშვთა ქირურგად. 1997 წელს ბავშვთა მეორე კლინიკური საავადმყოფო გადაეცა თსსუ-ს, რომლის დირექტორად დაინიშნა პროფესორი რამაზ კუტუბიძე. მისი თაოსნობით და აშშ ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებით თსსუ-ის გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის ბაზაზე გაიხნა ჯოენის სახელობის ქართულ-ამერიკული სამედიცინო ცენტრი, გულის ქირურგიის კლინიკა. (დირექტორი ი. მეტრეველი).
პროფესორ რამაზ კუტუბიძის უშუალო ძალისხმევით საქართველოში დაინერგა ახალშობილთა ქირურგიისა და ახალშობილთა ქირურგიული ინტენსიური თერაპიის სამსახური, რამაც საშუალება მისცა თანდაყოლილი განვითარების ურთულესი ანომალიების; საყლაპავის ატრეზიების, ანორექტალური მალფორმაციების, და სხვა პათოლოგიების სამკურნალოდ ურთულესი რეკონსტრუქციული ოპერაციების დანერგვას. ბავშვებში ლაპარასკოპიული ქირურგიის პირველი ოპერაციების ჩატარებას და მის განვითარებას. მისი ავტორობით გამოიცა ბავშვთა ქირურგიის სახელმძღვანელო 2003 და 2009 წლებში. მრავალი მონოგრაფია და მეთოდური რეკომენდაცია, მათ შორის 2017 წელს მონოგრაფია ''აბდომინალური ქირურგია ბავშვებში''. პროფ. რამაზ კუტუბიძე არის თსსუ-ის ემერიტუსი, საქართველოს ბავშვთა ქირურგთა კავშირის თავმჯდომარე, ბავშვთა ქირურგიაში სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი.

ბავშვთა ქირურგიის დეპატრამენტი

2017 წლიდან ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი მერაბ ბუაძე.
წლების განმალობაში ბავშვთა ქირურგიის კათედრაზე მოღვაწეობდნენ გამოჩენილი დასტაქრები: პროფესორი თამაზ გაჩეჩილაძე, პროფესორი გურამ დავითაია, პროფესორი ვალიკო მაისაია.
დოცენტები: ჯიმშერ ნატრიაშვილი, სერგო ჩხარტიშილი, გურამ გაბუნია, ცირა ხეცურიანი, ნოე მთვარაძე, ჯემალ ონიანი, გოგი ექსეულიძე.
ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტი ახორციელებს აკადემიურ და პრაქტიკულ საქმიანობას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე დამტკიცებული სილაბუსებისა და სასწავლო პროგრამებით. შეისწავლიან მედიცინის ფაკულტეტის ქართული, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი მე-5 კურსის სტუდენტები.
გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიურ კლინიკის ქირურგიულ დეპარტამენტში წარმატებით ტარდება ბავშვთა ქირურგიული აბდომინური და თორაკალური თანდაყოლილი ასევე შეძენილი პათოლოგიების სამკურნალოდ ტრადიციული ღია წესით ოპერაციები. ფართოდ ინერგება და ტარდება ასევე მინიმალური ინვაზიური; ლაპარასკოპიული, თორაკოსკოპიული და ფიბროენდოსკოპიური მიდგომითაც. ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტს აქვს ფართო და კოლეგიალური კონტაქტები ისრაელის წამყვან სამედიცინო ცენტრთან, ხაიფას ‘’ რამბამის’’ სამედიცინო ცენტრთან, ასევე თელ-ავივის ბავშვთა ქირურგიულ კლინიკებთან.
დეპარტამენტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონგრესებსა და კონფერენციებში. აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. 2017 წელს დეპარტამენტის წევრის ლ. თალაკვაძის მიერ ორგანიზებული იქნა მე-7 აზია-ევროპის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე ‘’ ოზონისა და სამედიცინო გაზები ბიოლოგიასა და თერაპიაში.